



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

20 აგვისტო 2026



N 600/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გარდაზნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვების ტერიტორიაზე შპს „დე გე დეს“ ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ-კოდექსი) შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „დე გე დეს“ (ს/კ: 406335149) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) 2026 წლის 30 მარტს წარმოდგენილი იქნა გარდაზნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვების ტერიტორიაზე შპს „დე გე დეს“ ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ-გზშ) ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია (განცხადება N4616). გზშ-ის ანგარიშის განხილვის მიზნით სააგენტომ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N227/ს 06/04/2026) და ადმინისტრაციული წარმოების პროცესში შესაბამისი უწყების ჩართვა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია სააგენტოს მიერ განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

გზშ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „მწვანე მრჩეველების“ (Green Advisors) მიერ.

გზშ-ის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის (წერილი N 21/7242 და N 21/9686) საფუძველზე, შპს „დე გე დეს“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი იქნა საქმიანობასთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული დოკუმენტაცია (წერილი: N8283 და N10402), რომელიც ეხება წყალაღების შესახებ ინფორმაციას, საწარმოო მიზნებისათვის მოხმარებული წყლის ჯამურ რაოდენობას, განახლებულ ზდგ-ის ნორმების პროექტს, განახლებულ გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმას, სამსხვრევ-დამახარისხებელ ტექნოლოგიურ ერთეულებზე) დამონტაჟებულ დანამდის სისტემებს და ე.წ „სპინკლერების“ მოწყობის საკითხებს, ინფორმაციას ნედლეულის დასაწყობების უბნის გადახურვის შესახებ (ანგარის ტიპის გადახურვა). დაზუსტებული დოკუმენტაცია ასევე განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და კანონმდებლობის შესაბამისად დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

2017 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „სკინჩის“ ასფალტის წარმოებაზე (გარდაზნის მუნიციპალიტეტის სოფ. გამარჯვების ტერიტორიაზე ასფალტის ქარხანა) გაიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (ბრძანება №84 15/11/2017), რის საფუძველზეც 2022

წლის 8 დეკემბერს სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტოს მიერ შპს „სკინჩის“ ასფალტის წარმოებაზე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N507/ს). 2022 წლის 17 ნოემბერს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს ერთობლივი განცხადებით მიმართეს შპს „სკინჩისა“ და შპს „ელიზის“ დირექტორებმა. შპს „სკინჩიმ“ ითხოვა მასზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „ელიზიზე“. 2022 წლის 30 დეკემბერს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების (ბრძანება N556/ს) შესაბამისად, შპს „სკინჩის“ ასფალტის წარმოებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „ელიზს“. 2023 წელს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს ერთობლივი განცხადებით მომართეს შპს „ელიზისა“ (ს/ნ: 405237051) და შპს „დე გე დეს“ (ს/ნ: 406335149) დირექტორებმა. შპს „ელიზმა“ ითხოვა მასზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „დე გე დეს“-ზე გადაცემა. 2023 წლის 2 აგვისტოს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების (ბრძანება N369/ს) შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. გამარჯვებაში შპს „ელიზის“ ასფალტის წარმოებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა შპს „დე გე დეს“.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების ფარგლებში საწარმოში დაგეგმილია ახალი საწარმო-ტექნოლოგიური ხაზების დამატება: მინერალური ფხვნილის (ფილერის) და ასფალტის ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ხაზის. ასფალტის ნარჩენების აღდგენა-დამუშავების ტექნოლოგიური ხაზი, განკუთვნილია ასფალტის საფარის დემონტაჟის შედეგად მიღებული მასალის გადამუშავებისათვის და კვლავ ასფალტის ნარჩენის წარმოებისთვის. პროექტის ფარგლებში იცვლება ლენტური ტრანზორმატორების რაოდენობა, გაბარიტული ფრაქციის მქონე შემგროვებელი ბუნკერების მოცულობა, მცირდება სალექარის მოცულობა. ექსპლუატაციის პირობის ცვლილების ფარგლებში ქვიშა-ლორღი და მინერალურ ფხვნილი ადგილზე იქნება წარმოებული (სამსხვრევის საშუალებით). დამუშავდება როგორც ქვიშა-ლორღი, ისე სამშენებლო, ნგრევისა და ასფალტის ნარჩენები. ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესაბამისად ასფალტთან ერთად წარმოებული ა პროდუქციაა: მინერალური ფხვნილი, სხვადასხვა ფრაქციის მქონე ქვიშა-ლორღი, სამშენებლო, ნგრევისა და სხვა ინერტული ნარჩენების სამსხვრევით დამუშავების შედეგად მიღებული, ერთგვაროვანი მასალა. ასფალტის საწარმოსთვის მოხმარებული ნედლეულის რაოდენობა (ქვიშა-44950 ტ/წელ; ლორღი-39500 ტ/წელ; ბიტუმი-5600 ტ/წელ; მინერალური ფხვნილი-3550 ტ/წელ) არ იცვლება. რაც შეეხება ნედლეულის მიწოდების პირობებს, ბიტუმის მიწოდების ნაწილში ცვლილება არ არის განსაზღვრული. ხოლო ქვიშა-ლორღი და მინერალურ ფხვნილი, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების პროექტის შესაბამისად, ადგილზე იქნება წარმოებული.

გზშ-ის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების ალტერნატივების შესახებ. მათი შეფასებისას განისაზღვრა, რომ შერჩეული ტერიტორია წარმოადგენს გარემოსდაცვითი თვალსაზრისით საუკეთესო ვარიანტს, ვინაიდან საპროექტო ობიექტების მოწყობა დაკავშირებული არ იქნება ახალი, გამოუყენებელი ტერიტორიის ათვისებასთან. ანგარიშში შეფასებულია საწარმოს ასფალტის ნარჩენების, ინერტული და ნგრევის ნარჩენების გადამუშავების, მინერალური ფხვნილის წარმოების, ტექნოლოგიური ხაზის ალტერნატივები. ანგარიშის მიხედვით, უმოქმედობის ალტერნატივა უარყოფილ იქნა ქვეყანაში არარეგისტრირებული ინერტული მასალის ნაგავსაყრელების სიმრავლის გამო, რაც გარემოსდაცვითი კუთხით ქმნის პრობლემას. ამასთან, მინერალური ფხვნილის (ფილერის) ადგილზე წარმოება უზრუნველყოფს ასფალტის საწარმოსთვის საჭირო მასალის მუდმივ და დროულ ხელმისაწვდომობას. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, შპს „დე გე დეს“ ასფალტის საწარმო (ს/კ: 81.07.08.602) განთავსებულია გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელი გამარჯვების ტერიტორიაზე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7021 მ² მიწის ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთი შპს „პერიმეტრის“ (ს/ნ: 405033244) საკუთრებას წარმოადგენს, რომელთანაც გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება). საწარმოს

ტერიტორია მდებარეობს სოფ. ფოლადანთკარის სიახლოვეს, საწარმოს ტერიტორიიდან დაახლოებით 300-320 მეტრში იდენტიფიცირებული შენობა-ნაგებობა დღეის მდგომარეობით არ ფუნქციონირებს (GPS კოორდინატები: X-497317, Y-4609256). რაც შეეხება უახლოეს საცხოვრებელ ზონამდე (GPS კოორდინატები: X-497385, Y-4609121) მანძილს, დაახლოებით 380 მეტრს შეადგენს. უშუალოდ ტექნოლოგიური ხაზიდან დასახლებამდე მანძილი მერყეობს 300-დან 400 მეტრამდე. საპროექტო ტერიტორიიდან 500-მეტრიან ზონაში წარმოდგენილია ქვიშა-ხრემის გადამუშავებისა და გაჯის წარმოებები. ასფალტის საწარმოს ტერიტორიიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით 95 მეტრში, განთავსებულია ინდ. მეწარმე „კობა ხახიშვილის“ ქვიშა-ხრემის გადამამუშავებელი საწარმოს ინფრასტრუქტურა (GPS კოორდინატები: X-497099, Y-4609304), რომელიც ამჟამად არ ფუნქციონირებს. ხოლო ტერიტორიიდან დაახლოებით 450 მეტრში, ჩრდილოეთ მხარეს, მდებარეობს შპს „გიორგი 97“-ის გაჯის საწარმო (GPS: X-496876, Y-4609743). საპროექტო ტერიტორიიდან მდ. ლოჭინამდე პირდაპირი დაცილების მანძილი 540 მეტრია. გარდაბნის გზატკეცილიდან საწარმომდე წარმოდგენილია 1680 მეტრის სიგრძის მეორეხარისხოვანი გზა.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ასფალტის წარმოებისათვის საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია „DC-158“ ტიპის დანადგარი და მისი ოპერირებისათვის საჭირო დამხმარე ინფრასტრუქტურა (ვიბრო ცხავი, ხვიმირი, სასწორი), 4-სექციანი ბუნკერი (მოცულობით 12 მ³), 3 ცალი ლენტური ტრანსფორმატორი, საშრობი დოლი, ელევატორი და მტვერდამჭერი სისტემა (ციკლონი და სველი მტვერდამჭერი). საშრობი დოლიდან ნამწვი აირები და მყარი ნაწილაკები გაიწოვება ვენტილატორის საშუალებით და გადაეცემა მტვერდამჭერ სისტემას, რომელიც შედგება პირდაპირი დინების ღერძული ციკლონის, ჯგუფური ციკლონის და სველი მტვერდამჭერისაგან. სისტემის კომპლექტში შედის 16 მ სიმაღლის და 800 მმ დიამეტრის გაფრქვევის მილი. სისტემის კომპლექტში შედის 5მ³ მოცულობის, სამსექციანი სალექარი, მინერალური ფხვნილის შემნახავი სილოსი (მოცულობით 10მ³), ასფალტის მზა პროდუქტის ბუნკერი, გაბარიტული ფრაქციის შემგროვებელი ბუნკერი, ბიტუმის მიმღები რეზერვუარები, ბიტუმის სახარში რეზერვუარები (25, 15 და 10 ტ), ბიტუმის ტრანსპორტირების მილები, ბიტუმის ტრანსპორტირების მილების გამაცხელებელი საქვაბე, ადმინისტრაციული შენობა და შენობა მომსახურე პერსონალისთვის, დამხმარე მასალების საწყობი, მექანიკური საამქრო.

ასფალტის დანადგარის ტექნოლოგიური პროცესის მიხედვით (წარმადობა შეადგენს 93 600 ტ/წელ, 45 ტ/სთ), სასურველი მარკის ასფალტის ნარევის მისაღებად საამქროში ფრაქციებად დაყოფილი ინერტული მასალა შესაბამისი დოზით ჩაიტვირთება საწარმოს მიმღებ დოზატორ ბუნკერებში. დოზირების შემდეგ ინერტული მასალა იყრება ტრანსპორტიორის ლენტებზე და შესაბამისი თანაფარდობით ნედლეული მიეწოდება საშრობ დოლს. საშრობ დოლში გახურებული მასალა გადაიტვირთება (ელევატორის საშუალებით) ვიბროცხავზე, სადაც ნაწილდება შესაბამის ფრაქციებად. გაბარიტული (40 მმ-ზე მეტი ზომის) ფრაქციები იყრება შემგროვებელ ბუნკერში, ხოლო არაგაბარიტული ფრაქციები აწონვისა და დოზირების შემდგომ გადადის ასფალტშემრევ დანადგარში. ასფალტშემრევში მასალას ემატება ბიტუმი, მინერალური ფხვნილი და ხდება მათი ინტენსიური შერევა. შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში, მასალის ეკონომიის მიზნით, ასფალტშემრევში შესაძლებელია ასევე სამსხვრევზე დამუშავებული ასფალტის ე.წ ნაფრეზი ფრაქციის ($\approx$ 0-40 მმ) მიწოდება, რომელიც სათანადო ბუნკერიდან ლენტური კონვეიერით პირდაპირ იტვირთება ასფალტის შემრევ დანადგარში. ინტენსიური შერევის შედეგად მიღებული ნარევი წარმოადგენს საბოლოო პროდუქტს (ასფალტს), რომელიც ე.წ სკიპის დახმარებით ხვდება მზა პროდუქციის ბუნკერში, ხოლო მოთხოვნის შესაბამისად ბუნკერიდან იტვირთება ავტომანქანებზე და ხდება მისი გატანა.

არსებული ასფალტის საწარმოს მინერალური ფხვნილით (ფილერით) უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილია მისი ადგილზე წარმოება, ხოლო ტექნოლოგიური ხაზის ძირითადი ნაწილი მოექცევა ანგარის ტიპის გადახურვის ქვეშ. ტექნოლოგიური ხაზის კომპლექტში შედის: მიმღები ბუნკერი (მოცულობით 20 მ³), ლენტური ტრანსპორტიორი, ბურთულეებიანი მილ-წისქვილი, სეპარატორი, სახელოებიანი ფილტრების სისტემა (ეფექტურობით - 99,96 %, საიდანაც დაახლოებით 5 მ სიმაღლის და 200 მმ დიამეტრის მილით ემისიები გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში), ორი ერთეული შემნახავი სილოსი (თითოეულის მოცულობით 50 მ³ 99,96 % ეფექტურობით. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი მოიცავს 30 მმ დამსხვრეული კირქვის განთავსებას მიმღები ბუნკერის მიმდებარედ, ანგარის ტიპის დახურულ სივრცეში. დამტვირთველის საშუალებით ნედლეული მიეწოდება მიმღებ ბუნკერს, მიმღები ბუნკერიდან ნედლეული ჩაიტვირთება მილ-წისქვილში, მილ-წისქვილიდან მიღებული პროდუქტი ჰერმეტიკული მილით გადაიტვირთება სეპარატორში, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს დაფქვის სიწმინდის რეგულირებას, ხოლო სეპარატორიდან საბოლოო პროდუქტი ჰერმეტიკული მილებით გადაიტვირთება შემნახავ სილოსებში, შემნახავი სილოსებიდან საჭიროებისამებრ მინერალური ფხვნილი მიწოდებული იქნება ასფალტის არსებულ საწარმოში, ხოლო ნაწილი მოთხოვნის შესაბამისად გაიყიდება.

მინერალური ფხვნილის (ფილერის) საწარმოო ტექნოლოგიური ხაზის წარმადობა შეადგენს 3 ტ/სთ-ს. საწარმო დღის მანძილზე იმუშავებს 8 სთ. წლის განმავლობაში საწარმო იფუნქციონირებს 240 დღის განმავლობაში. საპროექტო წარმადობის და სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით საწარმოს დღიური წარმადობა შეადგენს 24 ტონას, ხოლო წლიური 5760 ტონას. წარმოებული პროდუქციის ნაწილი გათვალისწინებულია ადგილზე მოხმარებისთვის, ხოლო ნაწილი სარეალიზაციოდ. წარმოებისთვის საჭირო ნედლეულის (კირქვის) შესყიდვა გათვალისწინებულია დედოფლისწყაროს რაიონში არსებული მწარმოებელი პირებისგან. საწარმოს ქვიშა-ხრებით მომარაგება განხორციელდება სარკინიგზო გადაზიდვით და შემდგომ უშუალოდ საწარმომდე თვითმცლელების საშუალებით.

საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით ტერიტორიაზე ასევე დაგეგმილია სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს დამატება. სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს კომპლექტში შედის: მიმღები ბუნკერი (10 მ³ მოცულობის), ლენტური ტრანსპორტიორები (ჯამური სიგრძე ≈ 37 მ; ლენტების სიგანე ≈ 0.6 მ), ყბებიანი სამსხვრევი, საცერ-დამახარისხებელი, როტორული სამსხვრევი. სამსხვრევ-დამახარისხებელი ტექნოლოგიური ერთეულებზე (ბუნკერი; ყბებიანი სამსხვრევი; საცერ-დამახარისხებელი; როტორული სამსხვრევი) დამონტაჟდება დანამვის სისტემა (ე.წ. სპრინკლერები). სამსხვრევ-დამახარისხებელი ტექნოლოგიური ხაზის წარმადობა შეადგენს - 30 მ³/სთ-ს. ტექნოლოგიური ხაზი იმუშავებს წელიწადში 300 დღე, ხოლო დღის განმავლობაში 16 სთ. ტექნოლოგიური ხაზის წარმადობის და განსაზღვრული სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით დღიური წარმადობა შეადგენს - 480 მ³-ს, ხოლო წლიური - 144 000 მ³-ს. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი მოიცავს: ქვიშა-ღორღის, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების, ასევე ასფალტის ნარჩენების დამტვირთველის საშუალებით მიმღებ ბუნკერში მიწოდებას, მიმღები-დოზატორი ბუნკერიდან მასალა მოხვდება ყბებიან სამსხვრევ დანადგარში და განხორციელდება მისი პირველადი მსხვრევა. სამსხვრევი დანადგარიდან მასალა ლენტური ტრანსპორტიორით მიეწოდება საცერ-დამახარისხებელს, დამუშავებული მასალა საცერ-დამახარისხებელიდან, ლენტური ტრანსპორტიორით, მეორადი მსხვრევისთვის მიეწოდება როტორულ სამსხვრევს, როტორულ სამსხვრევზე მიღებული ფრაქცია ლენტური ტრანსპორტიორით ბრუნდება საცერ-დამახარისხებელზე, ხოლო საცერ-დამახარისხებელიდან ლენტური ტრანსპორტიორით გადადის დროებითი დასაწყობების უბანზე. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი ავტომატიზირებულია და მისი მართვა განხორციელდება სპეციალური სამეთვალყურეო კაბინიდან, ოპერატორების მეშვეობით. შესაბამისი კარიერებიდან საწარმოს ნედლეულით (ქვიშა-ხრებით) მომარაგება განხორციელდება თვითმცლელების საშუალებით. ნედლეულის ტრანსპორტირება განხორციელდება 20-30 მ³

თვითმცლელელებით. სამსხვრევზე დამუშავებული იქნება ქვიშა-ლორდი, სამშენებლო, ნგრევისა და სხვა ინერტული ნარჩენები, ასევე ასფალტის ნარჩენები. სამსხვრევ-დამახარისხებელზე ქვიშა-ლორდის დამუშავების შემთხვევაში, ასფალტის წარმოებისთვის საჭირო ოდენობა მიეწოდება ასფალტის წარმოების ხაზს, ხოლო ნაწილი მოთხოვნის შესაბამისად გაიყიდება.

როგორც აღინიშნა საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილება არ შემოიფარგლება მხოლოდ არსებული ასფალტის საწარმოს ტექნოლოგიური გაუმჯობესებით და ითვალისწინებს დამატებით ნარჩენების მიღებას, დროებითი განთავსებისა და აღდგენის ოპერაციების (R5, R12, R13) განხორციელებას.

რაც შეეხება ასფალტის ნარჩენებს: სამსხვრევ ობიექტზე დაქუცმაცებული ასფალტის ნარჩენების აღდგენა განხორციელდება მაღალ ტემპერატურაზე (R5 ოპერაციით). ასფალტის ნარჩენების აღდგენა-დამუშავების ტექნოლოგიური ხაზის კომპლექტში შედის: 2 ცალი მიმღები ბუნკერი (მოცულობით 12 მ³, თითოეული მათგანისთვის), ლენტური ტრანსპორტიორი (სიგრძე ≈ 2 მ; სიგანე ≈ 0.6 მ), ელევატორი, საშრობი დოლი, ცხური და შემრევი აგრეგატი. ტექნოლოგიური ხაზის წარმადობა შეადგენს - 20 ტ/სთ-ს. ტექნოლოგიური ხაზის იმუშავებს წელიწადში 200 დღე, ხოლო დღის განმავლობაში 8 სთ. ტექნოლოგიური ხაზის წარმადობის და განსაზღვრული სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით დღიური წარმადობა შეადგენს - 160 ტ-ს, ხოლო წლიური - 32 000 ტ-ს. საწარმოს წარმადობა და სამუშაო რეჟიმი გათვლილია მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი მოიცავს ასფალტის ნარჩენის დამსხვრეული ფრაქციის მიმღებ ბუნკერში ჩაყრას, შემდეგ ლენტური ტრანსპორტიორით მიწოდება დახურულ ელევატორში, ელევატორის პანდუსზე განთავსებულია საშრობი დოლი. საშრობ დოლში მაღალ ტემპერატურაზე დამუშავებული მასალა გადადის ცხურზე, საიდანაც გაცხრილული გაბარიტული ფრაქცია (≈ 40 მმ-ზე მეტი ფრაქცია) გადადის გაბარიტული ფრაქციის ბუნკერში. ხოლო არაგაბარიტული (მისაღები) ფრაქცია ხვდება შემრევ აგრეგატში, სადაც საჭიროების შესაბამისად დამატება დოლურაში გამოშრობილი ინერტული მასალები, ასევე შესაბამისი საჭიროებისამებრ ბიტუმის ემულსია (≈ 200 ლ) და სხვა ქიმიური (ადგეზიური) დანამატები (≈ 20 კგ), ასფალტის ხარისხის გასაუმჯობესებლად. შემრევი აგრეგატიდან მიღებული მასალა გადადის ასფალტის მასალის საერთო შემკრებ ბუნკერში.

საწარმო წყლის გამოყენება საჭირო იქნება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნით - სველ მტვერდამჭერ სისტემაში და სამსხვრევ-დამახარისხებელ ტექნოლოგიურ ხაზისთვის. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით საწარმოს წყალმომარაგება ხორციელდება ავტოცისტერნების საშუალებით. მომსახურე პერსონალის რაოდენობის (8 კაცი) და ერთ კაცზე დახარჯული წყლის რაოდენობის (45 ლიტრი) გათვალისწინებით სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის რაოდენობა შეადგენს 93600 ლ/წელ. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ ამოსაწმენდ ორმოში, რომლის გატანა განხორციელდება პერიოდულად საჭიროებისამებრ შესაბამისი სერვისის მიერ.

საწარმოო მიზნებისათვის წყლის აღება ხორციელდება საწარმოდან 400 მეტრით დაშორებული მდებარე ტბორიდან (X-497225.00; Y-4609600.00), რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად ბუნებრივად არის დაგუბებული. გზმ-ის ანგარიშის შესაბამისად, სველ მტვერდამჭერ სისტემაში წყალი, სალექარის გავლით, ბრუნვით სისტემაშია. წყლის დანაკარგების შევსებისათვის ყოველ საათში საჭიროა 0.5 მ³ წყალი ანუ წელიწადში $0.5 \times 8 \times 260 = 1040$ მ³. ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, საწარმოო მიზნით წყალი გამოყენებული იქნება ასევე სამსხვრევ-დამახარისხებელი ტექნოლოგიური ხაზის დანამდისთვის. წლის განმავლობაში მოხმარებული წყლის მოცულობა შეადგენს დაახლოებით 6 000 მ³ 3-ს. საწარმოო ჩამდინარე წყლები საწარმოში არ წარმოიქმნება.

გზშ-ის ანგარიშისა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში შეფასებულია საწარმოს ფუნქციონირებით გამოწვეული ზემოქმედების ფაქტობრივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად გამოიყოფა და ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა: მანგანუმი და მისი ნაერთები, აზოტის დიოქსიდი, ნახშირბადის მონოქსიდი, ნაჯერი ნახშირწყალბადები $C_{12}-C_{19}$, შეწონილი ნაწილაკები და არაორგანული მტვერი $>20 \text{ } \mu\text{m}$ SiO_2 . გაბნევის ანგარიშის მიხედვით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასება განხორციელდა საწარმოს ყველა გაფრქვევის წყაროს ფუნქციონირებისას. ჰაერზე ზემოქმედების შეფასებისას, გათვალისწინებული იქნა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილების („ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“) მოთხოვნები. კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მიზნით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებისას ფონური მნიშვნელობის სახით გათვალისწინებულია შპს „გიორგი 97“-ის გაჯის საწარმო.

გაბნევის ანგარიშში ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება შეფასებულია საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში, სამუშაო ფონდისა და პერიოდულობის შესაბამისად. ექსპლუატაციის პროცესში საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან ატმოსფერული ჰაერის ხარისხი როგორც უახლოესი დასახლებული ობიექტის საზღვარზე (დაშორების მანძილი 300-320მ), ასევე საწარმოს ტერიტორიიდან 500 მ-ანი რადიუსის საზღვარზე არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მნიშვნელობებს (მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია, ზდკ-ს წილი 0.94 მგ/მ³, რაც კრიტიკულად მაღალი მაჩვენებელია). საწარმოს ფუნქციონირება ჰაერის ხარისხის მნიშვნელოვან გაუარესებას არ გამოიწვევს და მიღებული გაფრქვევები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე ხმაურწარმომქმნელ წყაროს წარმოადგენს: ასფალტის საწარმო, ქვიშ-ხრემის სამსხვრევ-დამახარისხებელი, მინერალური ფხვნილის (ფილერის) საწარმო და ასფალტის ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ხაზი. ასფალტის ქარხნის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ხმაურის დონე მერყეობს 85-100 დბა-ს ფარგლებში. დოლურის და შემრევის მუშაობისას ხმაურის დონე მერყეობს $\approx 85-95$ დბა-ს ფარგლებში. ინერტული მასალის მსხვრევა-დახარისხების პროცესში წარმოქმნილი ხმაურის დონე დაახლოებით 92-93 დბა-ს შეადგენს. ფილერის წარმოების პროცესში ხმაურის ძირითად წყაროდ მიიჩნევა ვერტიკალური მილ-წისქვილი, მისი მუშაობისას წარმოქმნილი ხმაურის დონე მერყეობს $\approx 89-95$ დბა-ს ფარგლებში. წარმოქმნილი ხმაურის ჯამურ მნიშვნელობად (ყველა ზემოაღნიშნული დანადგარის ერთდროული ფუნქციონირებისას) განისაზღვრება 99.5 დბა. ანგარიშში ასევე გათვალისწინებულია მიმდებარედ არსებული ხმაურწარმომქმნელი ობიექტებიც. ფონურ მნიშვნელობად გათვალისწინებული იქნა გაჯის საწარმოს მიერ წარმოქმნილი ხმაურის დონე (შპს „გიორგი 97“-ს, რომლის ჯამურმა ხმაურის დონემ შეადგინა 88 დბა). მოდელირების შედეგად დგინდება რომ უარესი სცენარის პირობებში უახლოეს მოსახლესთან მოსალოდნელი ხმაურის დონე 33 დბა-ს არ აჭარბებს. საწარმოს საქმიანობის პროცესში წარმოიქმნება როგორც არასახიფათო, ისე სახიფათო ნარჩენები. წარმოების პროცესში ფილტრაციის შედეგად წარმოქმნილი მყარი ნაწილაკები გამოყენებული იქნება კვლავ წარმოებაში. ასფალტის წარმოების შედეგად წარმოქმნილი ასფალტის ნარჩენები (დარჩენილი დაუმუშავებელი ფრაქცია) შეგროვდება სათანადო ბუნკერში და დაბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში. ობიექტზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები განთავსდება შესაბამისი მარკირების კონტეინერებში, რომელთა განტვირთვას სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს მუნიციპალური სამსახური.

ანგარიშის თანახმად, პროექტი ითვალისწინებს ნარჩენების სეპარაციას, დროებით უსაფრთხო განთავსებას და შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიებზე გადაცემას. წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება საკანონმდებლო ნორმებისა და სტანდარტების დაცვით, ნარჩენის ტიპის და სახეობის შესაბამისად. ანგარიშის შესაბამისად საკვლევი არეალის ფარგლებში ან/და მის სიახლოვეს სენსიტიური ჰაბიტატები, მათ შორის დაცული ტერიტორიები ან/და ზურმუხტის ქსელის უბნები წარმოდგენილი არ არის. საპროექტო ტერიტორია არ ექვევება რომელიმე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონაში..

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის საბადო და წიაღთსარგებლობის ლიცენზიები არ ფიქსირდება.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით, სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე განთავსება. ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ასევე გაიგზავნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში და გამოქვეყნდა საინფორმაციო დაფაზე.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმები, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტი, დასკვნები და რეკომენდაციები.

საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიში გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7¹ მუხლის, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12¹ ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვების ტერიტორიაზე შპს „დე გე დეს“ ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. **შპს „დე გე დე“ ვალდებულია:**
 - ა) საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება უზრუნველყოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, დაზუსტებული დოკუმენტაციის, ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. ამასთან, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგი უზრუნველყოს დამატებით წარმოდგენილი მონიტორინგის გეგმისა და კანონმდებლობით (საქართველოს მთავრობის 31/12/2013 წ. №413 დადგენილება) დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;

გ) ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ასფალტის დანადგარის (გ-1) გაფრქვევის წყაროს მილში ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება კანონმდებლობით (საქართველოს მთავრობის 31/12/2013 წ. №435 დადგენილების მე-11 მუხლი) დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

დ) ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება 3 თვეში ერთხელ, მავნე ნივთიერება მტვერ(TSP)-ზე, ნახშირბადის ოქსიდ(CO)-ზე და აზოტის დიოქსიდ” (NOx)-ზე, საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში და შედეგების 6 თვეში ერთხელ (მონიტორინგის ამსახველ ფოტო/ვიდეო მასალასთან ერთად) სააგენტოში წარმოდგენა;

ე) საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს “გარემოსდავითი ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2026 წლის 14 ივლისის N324 დადგენილების მოთხოვნების დაცვით;

ვ) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე უზრუნველყოს ტექნოლოგიურ პროცესში წარმოქმნილი შესაძლო ნარჩენების შესახებ (მათ შორის მათი სახეობების, კოდების, რაოდენობებისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ - ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ვალდებულებებისა და მოთხოვნების შესაბამისად) ინფორმაციის, ასევე საწარმოში მისაღებად გათვალისწინებული ნარჩენების, რაოდენობრივი მაჩვენებლების (თითოეული ნარჩენის წლიური რაოდენობების შესახებ კოდის მიხედვით) და ტექნოლოგიურ პროცესში დაბრუნებული და რეალიზაციას დაქვემდებარებული ასფალტის ნარჩენების რაოდენობრივი მაჩვენებლების სააგენტოში წარმოდგენა;

ზ) უზრუნველყოს ნარჩენების, მათ შორის აზბესტის, PCB-ების, ტყვიის შემცველი საღებავებისა და სხვა სახიფათო კომპონენტების საწარმოში მოხვედრის პრევენციული ღონისძიებების, ნარჩენის მიღების კრიტერიუმების, იდენტიფიკაციისა და ლაბორატორიული კონტროლის პროცედურების, სახიფათო ნივთიერებების შემცველობის განსაზღვრის მეთოდებისა და სხვა ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა;

თ) საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე უზრუნველყოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;

ი) ნარჩენების ტრანსპორტირება უზრუნველყოს „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N 144 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად;

კ) საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;

ლ) შპს „დე გე დეს“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2022 წლის 8 დეკემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება N507/ს) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;

მ) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით.

5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „დე გე დეს“;

6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „დე გე დეს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

7. საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/600-21-4-202608201556>

